



სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

18 დეკემბერი 2024



N 707/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. ქსოვრისში, შპს „გრინკუბის“ მიერ ენერჯის მიღების მიზნით (სასათბურე მეურნეობის გასათბობად) მეორადი ზეთების გამოყენებაზე (ნარჩენების აღდგენა) სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

შპს „გრინკუბის“ მიერ, გზმ-ს ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. ქსოვრისში, ენერჯის მიღების მიზნით (სასათბურე მეურნეობის გასათბობად) მეორადი ზეთების გამოყენებაზე (ნარჩენების აღდგენა) სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. ქსოვრისში, შპს „გრინკუბის“ საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 72.01.10.140; ფართობი 49 000 მ²) 2024 წელს კომპანიამ დაიწყო სასათბურე მეურნეობის მოწყობა. არსებული მდგომარეობით, საპროექტო ტერიტორიაზე განთავსებულია სათბურის კონსტრუქცია და მიმდინარეობს შიდა მოწყობითი სამუშაოები. სასათბურე მეურნეობა წარმოდგენილია სათბურის შენობისგან (ფართობი: 7 296 მ²) და 2 დამხმარე შენობა-ნაგებობისგან, სადაც გათვალისწინებულია საქვებისა და საწვავის საწყობის მოწყობა. საპროექტო ტერიტორიიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი დაშორებულია დაახლოებით 482 მეტრით. საპროექტო ტერიტორიიდან 50 მეტრში მდებარეობს შპს „საქართველოს მელიორაციის“ კაპიტალში რიცხული „თელოვანი 2“-ის სარწყავი სისტემის გამანაწილებელი არხი.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ენერჯის მიღების მიზნით (სასათბურე მეურნეობის გასათბობად) დაგეგმილია მეორადი ზეთების ან დიზელის გამოყენება (ნარჩენების აღდგენა), რისთვისაც სათბურის მიმდებარედ, საქვებისათვის განკუთვნილ იზოლირებულ შენობაში (ფართობი: 65 მ²; GPS კოორდინატები: X-463051.9020 Y-4644669.8533) განთავსდება მეორად ზეთებზე და დიზელზე მომუშავე ლუმელი-სანთურა და საწვავის ავზი (მოცულობა: 300 ლიტრი), რომელიც უზრუნველყოფს ლუმელი-სანთურასთვის საწვავის თანაბარ რეჟიმში მიწოდებას. საქვებისთვის განკუთვნილ შენობა-ნაგებობას გააჩნია მყარი ბეტონის იატაკი, ხოლო საწვავის ავზი (მოცულობა: 27 მ³) განთავსებული იქნება ლითონის მეორად შემაკავებელში. საწვავის ავარიული დაღვრის შემთხვევაში, დაღვრილი საწვავის შესაკავებლად, საქვაბეში გათვალისწინებულია შემკრები სისტემა (ე.წ. „ტრაპი“), რომელიც მიერთებულია იქნება სეპარატორთან (ავზი). ავარიულად დაღვრილი საწვავი, ე.წ. „ტრაპის“ გავლით, შეიკრიბება ავზში, შემდგომი გამოყენების მიზნით. საქვების შესასვლელში დამატებით მოწყობა წყალშემკრები დრენაჟი, რომელიც დაერთებული

იქნება სალექარზე, რაც უზრუნველყოფს ავარიულად დაღვრილი საწვავის გარემოში მოხვედრის პრევენციას.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, საპროექტო ღუმელი-სანთურა წარმოადგენს ორკამერაან, უნივერსალურ დანადგარს (მოდელი: RL 190; ტიპი: 673 T1; სიმძლავრე: 1400 კვტ/სთ), რომელსაც გააჩნია ორსაფეხურიანი აალების სისტემა. ღუმელი-სანთურა მუშაობს მფრქვევანას პრინციპით, რაც გულისხმობს დანადგარისთვის საწვავის მიწოდებას ჰაერის კომპრესორიდან მფრქვევანას მეშვეობით. ღუმელი-სანთურაში ჩამონტაჟებულია გამაცხელებელი, რომელიც საწვავს აცხელებს აალებისთვის საჭირო ტემპერატურამდე. საწვავის სრული წვა გრძელდება მეორე კამერაში, სრულ დაშლამდე. დანადგარში ყველა პროცესი იმართება ავტომატურად, რაც მიიღწევა საჭირო ოპერაციული პარამეტრების დაყენებით. ღუმელი-სანთურა აღჭურვილია ავარიული შეტყობინების სისტემით და გაუმართაობის შემთხვევაში, ითიშება ავტომატურად.

სკრინინგის განცხადების თანახმად, ენერჯის მიღების მიზნით (სასათბურე მეურნეობის გასათბობად) ღუმელი-სანთურას ექსპლუატაცია დაგეგმილია წელიწადში 5 თვის განმავლობაში. დანადგარი დღე-ღამეში მოიხმარს 1500-2000 ლიტრ მეორად ზეთს, რაც წლის განმავლობაში შეადგენს 255000-300000 ლიტრს. დანადგარი იმუშავებს წელიწადში 150 დღე, დღე-ღამეში 10 საათის განმავლობაში.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ობიექტზე საწვავის შეტანა განხორციელდება ავტოცისტერნებით ან 200-ლიტრიანი, ჰერმეტიულად დახურული ავზებით. ობიექტზე შეტანილი მეორადი ზეთები „სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით ნარჩენების ნუსხის განსაზღვრისა და კლასიფიკაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 17 აგვისტოს №426 დადგენილების შესაბამისად, კლასიფიცირდება შემდეგი კოდით: 13 ზეთის ნარჩენები (გარდა საკვებად გამოყენებული ზეთებისა) 13 01 – ნარჩენი ჰიდრაულიკური ზეთები (13 01 05*; 13 01 10*; 13 01 12*); 13 02 – ძრავისა და კბილანური გადაცემის კოლოფის ზეთები და ზეთოვანი ლუბრიკანტები (13 02 05*; 13 02 07*); 13 03 – საიზოლაციო და თბოგადამცემი ზეთებისა და სხვა სითხეების ნარჩენები (13 03 07*; 13 03 09*). მეორადი ზეთებისა და დიზელის შენახვა მოხდება ზემოდან გადახურულ, ფარდულის ტიპის საწყობში გათვალისწინებულ 2 მიწისზედა, ჰერმეტიულად დახურულ რეზერვუარში, რომელთაგან №1 რეზერვუარი (27 მ³) განკუთვნილი იქნება მეორადი ზეთებისთვის, ხოლო №2 რეზერვუარი (1 ტონა) – დიზელისთვის. აღნიშნული რეზერვუარები განთავსდება მობეტონებულ ზედაპირზე, რომლის გარშემო შემთხვევით დაღვრილი საწვავის გავრცელების შესაკავებლად მოეწყობა 0,5 მეტრი სიმაღლის ბარიერი (კედელი). საწვავის ავარიული დაღვრის შემთხვევისთვის, ობიექტი აღიჭურვება შემკრები სისტემით, რომელიც დაურთდება სეპარატორს (ავზი). საწვავის მიღებისას ავტოცისტერნა დაერთდება რეზერვუარის თავზე განთავსებულ სარქველზე. რეზერვუარზე მიერთებული იქნება საწვავის გამცემი მილი, რომლის მეშვეობით, საწვავი ავტომატურად მიეწოდება საქვაბეში არსებულ ავზს, საიდანაც გადავა ღუმელი-სანთურაში, მექანიკური ფილტრებით აღჭურვილი ტუმბოების მეშვეობით.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, სათბურების მოსარწყავად საწარმო მოიხმარს სოფლის არსებული სარწყავი სისტემიდან აღებულ წყალს, ხოლო საყოფაცხოვრებო დანიშნულებით წყალაღება გათვალისწინებულია ცენტრალური წყალმომარაგების ქსელიდან. საპროექტო ტერიტორიაზე წარმოქმნილი სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლების შეკრება მოხდება წყალგაუმტარ ორმოში, რომლის დაცლაც განხორციელდება საჭიროებისამებრ და ჩაშვებული იქნება ქ. მცხეთის გამწმენდ ნაგებობაში. საქვაბის ფუნქციონირებისას წყლის რესურსების გამოყენება არ იგეგმება, შესაბამისად, საწარმოო ჩამდინარე წყლების წარმოქმნა მოსალოდნელი არ არის. იმის გათვალისწინებით, რომ საქვაბე

და საწვავის საწყობი გადახურული და ბეტონის საფარის მქონე შენობა-ნაგებობებია, რომლებიც ასევე აღჭურვილია შემთხვევით დაღვრილი საწვავის შემკრები სისტემით, საპროექტო ტერიტორიაზე სანიაღვრე წყლების დაბინძურება მოსალოდნელი არის.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ღუმელი-სანთურის ექსპლუატაციის ეტაპზე ადგილი ექნება მავნე ნივთიერებების, წარმოქმნას და მათ ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევას. სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილია ობიექტის ფუნქციონირების ეტაპზე ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება, იდენტიფიცირებულია მავნე ნივთიერებების გამოყოფის და გაფრქვევის წყაროები, ასევე, აღნიშნული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებების რაოდენობრივი მაჩვენებლები. მიღებული შედეგების, მოხმარებული საწვავის რაოდენობის, ღუმელი-სანთურას ექსპლუატაციის რეჟიმისა და უახლოეს საცხოვრებელ სახლთან დაშორების მანძილის გათვალისწინებით, დაგეგმილი საქმიანობა არ იქნება დაკავშირებული ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან. ამასთან, ღუმელი-სანთურასთვის საწვავის მიწოდებამდე, სპეციალური ფილტრის მეშვეობით, განხორციელდება ზეთების მექანიკური წმენდა, რაც შეამცირებს ატმოსფერულ ჰაერში მყარი ნაწილაკების ემისიებს.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ღუმელი-სანთურის ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელი ხმაურის დონე შეადგენს 83,9 დეციბალს. იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული დანადგარის ექსპლუატაცია გათვალისწინებულია დახურულ შენობაში, ხოლო უახლოესი საცხოვრებელი სახლი საპროექტო ტერიტორიიდან დაშორებულია დაახლოებით 482 მეტრით, ღუმელი-სანთურის ფუნქციონირება არ იქნება დაკავშირებული ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელ მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, ღუმელი-სანთურის ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელია შერეული მუნიციპალური და მცირე რაოდენობის სახიფათო ნარჩენების წარმოქმნა. შერეული მუნიციპალური ნარჩენების გატანას უზრუნველყოფს ქ. მცხეთის დასუფთავების სამსახური, ხოლო სახიფათო ნარჩენები, შემდგომი მართვის მიზნით, გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე ორგანიზაციას.

სკრინინგის განცხადების თანახმად, ღუმელი-სანთურის ექსპლუატაციისთვის გათვალისწინებული საპროექტო ტერიტორია არ მდებარეობს არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, ასევე, დაცული და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიების სიახლოვეს, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები. საქმიანობის განხორციელება დაგეგმილია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე, სასათბურე მეურნეობის ტერიტორიაზე, სადაც ხე-მცენარეები და ცხოველთა ბინადრობისათვის ხელსაყრელი პირობები წარმოდგენილი არ არის. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაგეგმილი საქმიანობა არ იქნება დაკავშირებული ბიოლოგიურ გარემოზე მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება განთავსდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, საზოგადოების მხრიდან, აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით, წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში არ ყოფილა წარმოდგენილი.

სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ ენერჯის მიღების მიზნით (სასათბურე მეურნეობის გასათბობად) მეორადი ზეთების გამოყენება (ნარჩენების აღდგენა), საპროექტო ღუმელი-სანთურას ექსპლუატაციის რეჟიმის, გამოსაყენებელი საწვავის რაოდენობის და უახლოეს მოსახლეობისაგან დაშორების მანძილის გათვალისწინებით, არ იქნება დაკავშირებული გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის და ამავე კოდექსის II დანართის მე-10 პუნქტის 10.3 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. ქსოვრისში, შპს „გრინკუბის“ მიერ ენერჯის მიღების მიზნით (სასათბურე მეურნეობის გასათბობად) მეორადი ზეთების გამოყენება (ნარჩენების აღდგენა) არ დაექვემდებაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. შპს „გრინკუბი“ ვალდებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „გრინკუბს“ და სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „გრინკუბის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალსა და მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ვასილ გედევანიშვილი

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

<https://edocument.ge/mea/public/#/707-21-4-202412181312>

